პროლეტარებო უფელა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 98 (13492) | შაბათი, 30 აპრილი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

თქვსმეტი წელია მუშაობს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გრიგოლ სეფისკვერაძე. ამ ხნის მანძილზე მას არაერთხელ უსახელებია თავი მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით. იგი აქ დავუკაცდა, შესანიშნავად აითვისა მეფოლადის რთული პროფესია. მისი სახელი პოპულარული გახდა მთელ კოლექტივში.

ამასწინათ ქარხნის წინასაარჩევნო კრებაზე იგი დასახელებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ამით მან კიდევ მეტი პასუხისმგებლობა იგრძნო. ქარხანაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის — პირველი მაისის ღირსეულად შეხვედრისათვის. სამაისო შრომითს ვახტზე ერთ-ერთი პირველი დადგა თავისი ბრიგადით მეფოლადეთა ბრიგადის ხელმძღვანელი გრიგოლ სეფისკვერაძე. ბრიგადამ ვალდებულება იკისრა ერთ ცვლაში საპირველმაისოდ ჩამოასხას 200 ტონა ფოლადი ნაცვლად 180-ისა.

ეს სურათი გადაღებულია გუშინ დილით ქარხანაში, როცა ღამის ცვლის შემდეგ გრიგოლ სეფისკვერაძის ბრიგადა კმაყოფილი და მხიარული ბრუნდებოდა სამუშაოდან (მარცხნიდან მარჯვნივ) კ. ბრებენიუკი, ბ. სეფისკვერაძე, ნ. სემილეტოვი და ნ. კუზმინოვი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ჯოგოხიასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი ასახელებს დეპუტატობის კანდიდატებს

თბილისი წყალო. თბილისი წყაროს ხორცისა და რძის საბჭოთა მეურნეობის მუშები და მოსამსახურეები შეიკრიბნენ წინასაარჩევნო კრებაზე, რათა დაესახელებინათ კანდიდატი. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. კრებამ ერთხმად დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისი წყაროს № 188 საარჩევნო ოლქში დაასახელოს საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ოთარ ევგენის-ძე ჩერქეზია** და სთხოვოს მას კენჭი იყაროს ამ ოლქში.

ახალციხე. „ახალციხეკნაფშირის“ ახალციხის მაღაროთადმმართველოს № 1 შახტის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალციხის № 169 საარჩევნო ოლქში დაასახელა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ნიკოლოზ სტეფანეს-ძე ზახაროვი.**

ბათუმი. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მუშებმა და მოსამსახურეებმა წინასაარჩევნო კრებაზე ერთსულოვნად გადაწყვიტეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბათუმის ლენინის № 492 საარჩევნო ოლქში დაასახელონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ალექსანდრე პეტრეს-ძე ვოლკოვი** და სთხოვონ მას კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში.

ცხინვალი. აქ გაიმართა ტეხურის დაფნისა და ციტრუსოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეების კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ცხინვალის № 189 საარჩევნო ოლქში დაასახელონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **ილია ნეხტორის-ძე ვეკუა.**

ტყვარჩელი. ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 6 შახტის მუშებმა და მოსამსახურეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალციხის № 169 საარჩევნო ოლქში დაასახელეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ნიკოლოზ სტეფანეს-ძე ზახაროვი.**

ბათუმი. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მუშებმა და მოსამსახურეებმა წინასაარჩევნო კრებაზე ერთსულოვნად გადაწყვიტეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბათუმის ლენინის № 492 საარჩევნო ოლქში დაასახელონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ალექსანდრე პეტრეს-ძე ვოლკოვი** და სთხოვონ მას კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში.

ცხაკაია. „ახალციხეკნაფშირის“ ახალციხის მაღაროთადმმართველოს № 1 შახტის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალციხის № 169 საარჩევნო ოლქში დაასახელა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ნიკოლოზ სტეფანეს-ძე ზახაროვი.**

ბათუმი. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მუშებმა და მოსამსახურეებმა წინასაარჩევნო კრებაზე, რათა თავიანთი წარმომადგენელი გაგზავნონ საბჭოთა პარლამენტში. კრებაზე მოთხოვნილებმა ერთხმად დაადგინეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სამტრედიის № 689 საარჩევნო ოლქში დაასახელონ თავიანთი საუკეთესო წარმომადგენელი — ამერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანე **კარლო თევდორეს-ძე ჯანელიძე** და სთხოვონ მას კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში.

თბილისი. „თბილისგვირაბმშენის“ 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის პირველი მაისის № 166 საარჩევნო ოლქში ერთხმად დაასახელა ამ სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ზეინკალი-მემონტაჟე **ალექსანდრე იოსების-ძე დათაშვილი.**

ახალქალაქი. სოფელ თახჩის კოლმეურნეობაში გაიმართა კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას. კრების მონაწილეებმა ერთხმად გადაწყვიტეს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში დაასახელონ ახალქალაქის ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 168 საარჩევნო ოლქში სოფელ თახჩის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვაგანეკ ომანესის-ძე კაზარიანი.** (საქდესი).

ლ. ი. ბრეჟნევი და ა. ნ. კოსიგინი ყუბანში

კრასნოდარი, 28 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს ტაშკენტიდან მოსკოვს გზად მომავალნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ყუბანში ჩამოვიდნენ. აეროდრომზე ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევსა და ა. ნ. კოსიგინს შეხვდნენ სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ხ. ზოლოტუხინი, სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე ი. ე. რიაზანოვი, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნ. კოსიგინმა დაათვალიერეს მხარის რაიონები, ისინი ეწვნენ კორენოვსკაიას რაიონის კიროვის სახელობის კომუნისტური შრომის კოლმეურნეობის მინდვრებში, დაათვალიერეს საშემოდგომო ხორბლისა და ქერის ნათესები, გაეცნენ მინდვრის სამუშაოთა მიმდინარეობას.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „მცირე დედის“ საპატიო ფოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „მცირე დედის“ საპატიო ფოდება და გადაეცეთ „მცირე დედის“ ფოდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. ჯუმალის ნიურა უმერის ასულს — ოსმალეთისს, ქალაქ ქუთაისი.
2. ნაზლიოანის მარიამ აკოფის ასულს — დასახლებულს, წალკის რაიონის სოფელ ნარდევანი.
3. სარქისიანის არეგან თუმასის ასულს — დასახლებულს, წალკის რაიონის სოფელ ბურნაშეთი.
4. ჭითავას შერა ვასილის ასულს — კოლმეურნეობა „გამარჯვების“ წეკრს, ცხაკაიის რაიონი.
5. შარაშენიძეს ესმა აქსენტის ასულს — კოლმეურნეს, ჩოხატაურის რაიონის სოფელი ჩაისუბანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე
მოსკოვი, კრემლი.
1966 წლის 27 აპრილი.

მეცალურგთა ინიციატივა

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის

რუსთავი. (საკ. კორ.). სკკპ XXIII ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო წარმოებისა და მეცნიერების ურთიერთკავშირის განმტკიცებას.

და აი იმ მიზნით, რომ განმტკიცდეს კავშირი წარმოებასა და მეცნიერებას შორის, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მოიწვიეს „გრუზგიპრომეზის“, „ავტომატპრომის“, მეტალურგიის და სხვა ინსტიტუტების წარმომადგენლები და შეიმუშავეს ღონისძიებანი წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა ფართოდ დანერგვის უზრუნველსაყოფად.

ქარხნის კოლექტივმა და ზემოთ დასახელებულმა სამეცნიერო დაწესებულებებმა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საშუალებით ერთობლივად მიმართეს რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის კოლექტივებს, აგრეთვე სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაციებს — გაანალიზონ სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის და იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა თავისი გენერალური დამპროექტებელი ინსტიტუტის — „გრუზგიპრომეზის“ კოლექტივთან, აგრეთვე ინსტიტუტის „ავტომატპრომთან“ და მეტალურგიის ინსტიტუტთან ერთად ვალდებულებას კისრულობს უზრუნველყოს შემდეგი ობიექტების მშენებლობა:

ახალი აგლომაგრეგატისა, რომელიც საშუალებას შექმნის გაიზარდოს კაზმში აგლომერატის რაოდენობა 90-100 პროცენტით;

ჟანგბადის სადგურისა, რომელიც საჭიროა ბრძოლისა და მარტენის წარმოების ინტენსიფიკაციისათვის;

ახალი მიქსერისა მარტენის საამქროს საკაზმე ეზოსათვის;

მათი ვალდებულებაა აგრეთვე მოახდინონ მილნაგზად აგრეგატის „900/750“-ისა და ფურცელსაგლინავ დგან „2100“-ის რეკონსტრუქცია;

განახორციელონ მილსაგლინავი დგან „140“-ის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია;

ავტომატიზაციაზე გადაიყვანონ საგლინავი და მილსაგლინავი საამქროების გამახურებელ მოწყობილობათა რთული რეჟიმი; აითვისონ 377 და 426-მილიმეტრიანი უნაყიბუროო მილების სამრეწველო გამოშვება;

მეცნიერებთან თანამშრომლობით გადაწყვეტილია 20 საწარმოო უბანზე შეიშუშავებულ იქნას შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გეგმა და აქედან 10 უბანზე დანერგოს იგი 1967 წლის 7 ნოემბრისათვის.

აქვე ქარხნის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს 1967 წლის 7 ნოემბრისათვის, ანუ ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის შეასრულოს 23 თვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა.

ახალი ხუთწლედის დასაწყისიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვას ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები.

ლითონის ეკონომიის ხარჯზე დამატებით აწარმოოს 150 ათასი მეტრი მილები;

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის 1970 წლის 22 აპრილისათვის მიაღწიოს ხუთწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებულ დონეს თუჯის, ფოლადისა და მზა ნაგლინის წარმოებაში;

შეამციროს პროდუქციის ღირებულება 8 პროცენტით 1965 წელთან შედარებით;

წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისა და წარმოებაში ტექნიკის სიახლეთა დანერგვის შედეგად 1970 წლისათვის მილების წარმოების საკუთარი პროდუქცია გაუთანასწორონ მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტებს.

იკისრეს რა ასეთი ვალდებულებანი, ქარხნისა და სამეცნიერო დაწესებულებათა კოლექტივებმა რწმენა გამოთქვეს, რომ მათს ინიციატივას ფართოდ დაუჭერენ მხარს რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებათა კოლექტივები.

სკკპ XXIII ყრილობის გაკანონებული — ცხოვრებაში!

მოსკოვის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა 1966 წლის ოთხი თვის გეგმა

მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და მშრომელთა საერთაშორისო დღის — 1 მაისის ღირსეულად შეხვედრისათვის, ვადამდე, 28 აპრილისათვის დაამთავრეს მთლიანი პროდუქციისა და მეტწილ უმნიშვნელოვანეს ნაკეთობათა წარმოების 1966 წლის ოთხი თვის გეგმა.

თვის ბოლომდე დედაქალაქის მრეწველობა გამოუშვებს ათობით მილიონი მანეთის დამატებით პროდუქციას.

ავიატორთა წარმატება

საპირველმაისო დღესასწაულის წინ დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვა საქართველოს საგმოქალაქო ავიაციის სამმართველოს კოლექტივმა. სოციალისტური შეჯიბრების 1966 წლის პირველი კვარტალის შედეგებით სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს და ავიაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ქართველი ავიატორები ცნეს სრულიად საკავშირო შეჯიბრების გამარჯვებულად და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მიანიჭეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, აგრეთვე პირველი ფულადი პრემია.

გასული წლის დამდეგიდან საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მუშაკები შეჯიბრების კვარტალური შედეგების მიხედვით ზედიზედ მეორე და მესამე ადგილებს იკავებენ, მაგრამ სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში პირველი ადგილი პირველად მოიპოვეს.

ეს გამარჯვება ბეჯითი შრომით მოიპოვეს საქართველოს საგმოქალაქო ავიაციის საფრენოსნო და ტექნიკურმა შემადგენლობამ, ქვეგანაყოფებისა და სამსახურების მუშაკებმა. მგზავრბრუნვის პირველი კვარტალის გეგმა მათ 119,9 პროცენტით შეასრულეს, მგზავრთა გადაყვანისა — 123,8 პროცენტით, რენტაბელობისა — 117,6 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის ყველა საავიაციო ქვეგანაყოფი, აგრეთვე აეროპორტი რენტაბელური გახდა. მიმდინარე წლის მარტი პირველ კვარტალში მათ სახელმწიფოს მისცეს 478 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

28 აპრილს თბილისის აეროპორტში გამარჯვებულებს საზეიმოდ გადასცეს გარდამავალი წითელი დროშა. რესპუბლიკის საავიაციო ქვეგანაყოფთა წარმომადგენლებს კრებაზე დროშა გადასცა სსრ კავშირის საგმოქალაქო ავიაციის პოლიტსამმართველოს უფროსმა **გ. ფ. ბეზბოროდოვმა.**

კრებას დაესწრო და ქართველ ავიატორებს საპატიო ჯილდო ბულეტენი გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ბ. ა. როდიონოვმა.** (საქდესი).

საპირველმაისო ვახტზე

თბილისის ექსპერიმენტული საავეჯო ფაბრიკის კოლექტივი შრომით მოპოვებული ახალი წარმატებებით ხვდება პირველი მაისის დღესასწაულს. ფაბრიკის კოლექტივმა გუშინ გადაჭარბებით შეასრულა ოთხი თვის საწარმოო დავალება და მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 120 ცალი სასადილო მაგიდა და 50 ცალი საწოლი გაუგზავნა.

შრომაში დაწინაურდა ავეჯის დამამზადებელი კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ბ. დანილენკო უძღვება. ამ ბრიგადამ ოთხი თვის დავალება 125 პროცენტით გაანაღდა.

მოხმარებელთათვის მაღალი ხარისხის პროდუქციის მიწოდება ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახა თბილისის № 5 პურის ქარხნის კოლექტივმა. მაროლაც მომხმარებელი კმაყოფილია ამ ქარხნის ნაწარმით — პურისა და ფუნთუშეულის მაღალი ხარისხით.

ქარხანამ ოთხი თვის დავალება 27 აპრილისათვის გადაჭარბებით შეასრულა და დამატებით 85 ტონა პროდუქცია გამოუშვა.

ბიათურა. (საკ. კორ.). აქ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების სათავეში დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც მტკიცედ ინარჩუნებს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროსა და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას, პირველ ადგილს საბჭოთა კავშირში.

მაღაროს კოლექტივმა ახალი გამარჯვება მოიპოვა. მან ვადამდე შეასრულა ხუთწლედის პირველი წლის ოთხი თვის დავალება და მეტალურგიას უკვე მისცა 15.000 ტონა ზეგეგმითი მარგანეცი.

ჭუთაისი. (საკ. კორ.). საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვეს № 8 საპერვაზო ფაბრიკის კოლექტივმა, რომელმაც ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით ვადამდე — 19 აპრილისათვის გააანაღდა ოთხი თვის დავალება.

განვლილ პერიოდში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 113 პროცენტით. პირველი ხარისხის ნაწარმის გამოშვებამ 2,2 პროცენტით გადაამეტა გეგმით გათვალისწინებულს. ფაბრიკას წელს არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია. თვითღირებულების შემცირების გზით დაზოგეს 27.000 მანეთი, ამასთან 5.000 მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

ლ. ი. ბრეჟნევი და ა. ნ. კოსიგინი ყაზანში

ყაზანი, 29 აპრილი. (საკ. კორ.). ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ტ. ა. ტაბეევი, ნ. ნ. ბელოუსოვი, ა. ნ. ბეგიჩევი, ა. ნ. ბეგიჩევი, ა. ნ. ბეგიჩევ

სკკპ XXIII ყრილობის
გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

მთავარია ცოცხალი საქმე

აია კოვსკის რაიონის მშრომელები ახლა გაცხოველებით ბჭობენ, ფიქრობენ და ეძებენ პირველ პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომ რაც შეიძლება მეტი წვლილი შეიტანონ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ახალი ხუთწლედის დავალებათა განაღდებისათვის ბრძოლაში.

ზვიდწლეული რაიონის ეკონომიკისათვის აღმავლობის პერიოდი იყო. ძირითადი ყურადღება მიპყრობილი იყო რაიონის სოფლის მეურნეობის მთავარ დარგში — მევენახეობაში წარმატებათა გამრავლებისაკენ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ზვიდი წლის მანძილზე რაიონმა საშობოლოს მისცა რამდენიმე ათეული ათასი ტონა ყურძენი. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საზოგადოებრივ მეურნეობებში გაშენდა 704 ჰექტარი ახალი ვენახი. დიდი ყურადღება ექცეოდა ახალშენი ვენახების მოვლას.

წარმატებათა სათავე კი ის არის, რომ სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლას სათავეში უდგანან საკომეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციები. მათში გაერთიანებულია ათასზე მეტი კომუნისტი. ისინი უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროში — ბრიგადებში, რგოლებში, მეცხოველეობის ფერმებში მოღვაწეობენ.

რაიონის ფარგლებს გასცდა დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის კომუნისტების, ყველა მშრომელთა პატრიოტული საქმეები. გასული წელი მათ მაღალი სამეურნეო მაჩვენებლებით დაამთავრეს. კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 144 ათასი მანეთის ნაცვლად 213 ათასი მანეთი ფულადი შემოსავალი მიიღო. აქ მნიშვნელოვნად გაიზარდა ყურძნის, ხიმინდის და სხვა კულტურების მოსავლიანობა. რენტაბელური გახდა მეცხოველეობა.

ეს წარმატებანი კომუნისტთა მაღალი აქტიურობის შედეგია. კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია 102 კომუნისტს აერთიანებს. პარტიული ბიურო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კომუნისტთა განაწილებას წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. 5 საწარმოო ბრიგადიდან ოთხს კომუნისტები ხელმძღვანელობენ, 14 კომუნისტი რგოლს ხელმძღვანელია. პარტიის წევრები სათავეში უდგანან მეცხოველეობის ფერმასა და სატრაქტორო ბრიგადას.

მაღალნაყოფიერი შრომის მისაბაძ მაგალითს იძლევა კომუნისტი ი. მშვილდაძე, რომელიც კოლმეურნეობის № 3 ბრიგადას ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ შარშან ამინდის არასელსაყრელი პირობების მიუხედავად საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 73 ცენტნერი ყურძენი, მაშინ როცა კოლმეურნეობაში ყურძნის მოსავლიანობამ საშუალოდ ჰექტარზე 62,5 ცენტნერი შეადგინა.

ი. მშვილდაძის ბრიგადას მხარდამხარ მიჰყვებიან კომუნისტების, სოციალისტური შრომის გმირების ვ. გარუჩავასა და ი. არწივიძის ბრიგადები.

კოლმეურნეობაში ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანის მრავალი ოსტატია. მათ შორის არიან შ. თოდაძე, ვ. ებანოიძე, გ. კვირიკაშვილი, ბ. რობაქიძე, ა. არწივიძე, რომლებმაც შარშან საშუალოდ ჰექტარზე 95—160 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. ეს ადამიანები, როგორც ხშირად ამბობენ, ჩვენი ოქროს ფონდია, სწორედ მათი მაგალითით, მათი მუშაობის ხერხებითა და მეთოდებით სწავლობს შრომას ასობით, ათასობით კოლმეურნე.

სოფელ საკრაულას მაიაკოვსკის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია უნარიანად იყენებს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ნაცად ფორმებს კომუნისტთა აქტივობისა და თვითმოქმედების ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის. შარშან აქ საშუალოდ თვითეულმა კომუნისტმა გამომიმუშავა 263 შრომადღე ნაცვლად 120-სა, რაც სავალდებულო მიხეზმეთი არის გათვალისწინებული. წლითიწლობით იზრდება კოლმეურნეობის. შემოსავალი, მტკიცდება მისი ეკონომიკა.

არცთუ დიდი ხნის წინათ სოფელ როხის კოლმეურნეობაში მეცხოველეობა ერთ-ერთი ჩამორჩენილი დარგი იყო. საკმარისია ითქვას, რომ 1962 წელს აქ თვითეულ საფურაკეზე ძროხაზე მიიღეს მხოლოდ 552 კილოგრამი რძე. კოლმეურნეობა დიდი რაოდენობით იძენდა კონცენტრირებულ და უხეშ საკვებს, რაც ძნიშვნელოვნად აძვირებდა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას. 1964 წელს პარტიული ორგანიზაციის რეკომენდაციით მეცხოველეობის ფერმას სათავეში ჩაუდგა კომუნისტი ი. ჯანელიძე, რომელმაც არსებითად გარდაქმნა მუშაობა. მან დარაზმა და გაიყოლია მეცხოველეები, რასაც გარკვეული შედეგი მოჰყვა. 1965 წელს 1962 წლთან შედარებით თვითეული ფურის წველადობა 390 კილოგრამით გაიზარდა, ხოლო რძის საერთო წარმოება — 3.100 ცენტნერით. როხელ მეცხოველეებს წელს გაცილებით მეტი შესაძლებლობანი აქვთ ახალი მიღწევებით გაახარონ სამშობლო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) პლენუმის შემდეგ ერთ წელზე ცოტა მეტი გავიდა. დროის ამ მცირე მონაკვეთში, როგორც ზემოთ დავინახეთ, მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მაგრამ როცა მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების დადებით შედეგებზე ვლაპარაკობთ, ნათლად წარმოვიდგენთ, რომ რეზერვებს ჯერ კიდევ სრულად ვერ ვიყენებთ. რაიონული პარტორგანიზაცია დარაზმავს მშრომელებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ამამქედებს დამატებით რეზერვებს პროდუქციის წარმოების გასაადიდებლად.

ახალ ხუთწლედშიც ჩვენი ყველაზე მთავარი ამოცანაა რაიონის ეკონომიკის ძირითადი დარგის — მევენახეობის შემდგომი განვითარება. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ზრდის მასშტაბებზე, აღვნიშნავთ, რომ მარტო უანლოდეს 2-3 წელიწადში ყურძნის საერთო წარმოება რაიონის კოლმეურნეობებში ორჯერ და მეტად უნდა გაიზარდოს.

ამ ხუთწლედში მთავარი მიმართულებაა მოსავლიანობის გადიდება. ამისათვის აუცილებლად უნდა განვახორციელოთ გადამჭრელი ღონისძიებანი ვენახების სიმეჩხრის მინიმუმამდე დასაყვანად, მკვეთრად გავაუმჯობესოთ ვაზის მოვლა-პატრონობა, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ახალშენ ვენახებს.

სოფლის მეურნეობაში ვახორციელებთ ღონისძიებებს წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის, მიწათმოქმედების კულტურის ასამაღლებლად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გასაადიდებლად. აქ საქმის თავი და თავი ის არის, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომუნისტებმა დაარწმუნონ ყველა მშრომელი თავიანთ ძალებში. ჩვენს რაიონს შეუძლია აწარმოოს და კიდევაც უნდა აწარმოოს გაცილებით მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

დიდი ხანი არ არის, რაც რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაინერგა შიდასამეურნეო ანგარიში. შარშან 1 იანვრიდან შიდასამეურნეო ანგარიშზე გადავიდა დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაც. შიდასამეურნეო ანგარიშის დანერგვამ შესამჩნევად გააღიდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება, აამაღლა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება. გაიზარდა ბრიგადირების, მეცხოველეობის ფერმების გამგეების და სხვა მუშაკთა პასუხისმგებლობა, საგულისხმოა ისიც, რომ იმ ბრიგადებში, სადაც უფრო მეტი ყაირათიანობა და მომჭირნეობა გამოიჩინეს, უკეთესი შედეგი მიიღეს, მნიშვნელოვნად აამაღლეს კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება. მაგალითად, № 2 ბრიგადის წევრებს (ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი კომუნისტი თ. ფენოსაშვილი) № 4 ბრიგადის კოლმეურნეებთან შედარებით თვითეული შრომადღეზე 1,12 მანეთით მეტი ანაზღაურება ხვდათ.

მიმდინარე წლის ბოლომდე თითქმის ყველა კოლმეურნეობაში დაინერგება შიდასამეურნეო ანგარიში, რაც ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალ აღმავლობას.

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებები ხელსაყრელ პირობებს გვიქმნიან მთელი ორგანიზაციულ-პარტიული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მათ გვიკარნახეს ღრმად, სერიოზულად ჩაეუფიქრდეთ პარტიული ხელმძღვანელობის უფრო სრულყოფილი ფორმების ძიებას. პარტიის რაიონული კომიტეტი მთავარ აქცენტს აკეთებს კადრებთან მუშაობის გაძლიერებაზე, მინდობილი საქმისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, პარტიისა და თავიანთის დირექტივების შესრულებისადმი კონტროლის გაუმჯობესებაზე, პირველადი პარტორგანიზაციების როლისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე.

პარტიის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ცდილობენ დაბეჯითებით ასწავლონ საკომეურნეო კადრებს ანგარიში, სამეურნეო საქმიანობის ანალიზი. ამას წინათ პარტიის რაიკომში მოეწყო სემინარი კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბუღალტრების, ეკონომისტების, აგრონომებისა და საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის. სემინარზე განხილულ იქნა ბევრი აქტუალური საკითხები, როგორიც არის დაგეგმვა, შრომის ნორმირება და ანაზღაურება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, საბუღალტრო აღრიცხვა, შიდასამეურნეო ანგარიში და სხვ.

ღია პარტიულ, მშრომელთა საერთო კრებებსა და რაიონული პარტიული აქტივის კრებაზე გულდასმით განვიხილეთ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი. პარტიის მიერ დასახულ პასუხსაგებ ამოცანებს, ყრილობის დირექტივებს მაიაკოვსკელი მშრომელები თავიანთ მახლობელ, სისხლხორცეულ საქმედ თვლიან და გამოთქვამენ მზადყოფნას მთელი ძალები მოახმარონ მათს წარმატებით შესრულებას. ჯერ კიდევ ყრილობამდე არნახული პატრიოტული თაოსნობას. მათს მოწოდებას მახარაძელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი. ზვიდწლედის დამამთავრებელ წელს, როგორც მეჩაიეებმა და სხვა დარგების მუშაკებმა, ისე მეცხოველეებმა გვახსელეს. სახელმწიფოს მიეყიდა 5.800 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, ხოლო ხუთწლედის გოლოს 28 ათასი ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 26.754-ისა.

გადიდებულ ვალდებულებათა შესასრულებლად მახარაძელმა მეციტრუსეებმა გადაწყვიტეს ორ წელიწადში მთლიანად მოსპონ სიმეჩხრე, ძირითადად გააშენონ მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის უხვმოსავლიანი ჯიშები, როგორც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ისე საკარმიდამო ნაკვეთებზე ციტრუსების ხეები საიმედოდ იქნება დაცული მავნებლებისა და ავადმყოფობისაგან, ნარგავების მოვლის ყველა სამუშაო აგროვადებში შესრულდება. ყველგან ბაღებში დროზე მიიღებენ საჭირო რაოდენობით ორგანულ და მინერალურ სასუქებს. სადაც საჭიროა, გაშენდება საცავი ტუის ზოლები, გაუმჯობესდება პლანტაციებში არსებული გზები.

გათვალისწინებულია პრაქტიკოს მეციტრუსეთა მჭიდრო კავშირი მეცნიერებთან, მათ მიერ რეკომენდებულ სიახლეთა ფართოდ გამოყენება, აგრეთვე ციტრუსოვანთა უხვი მოსავლის ოსტატების გამოცდილების განზოგადება.

ხუთწლედის გოლოსათვის მთელ რესპუბლიკაში დაზადებული ციტრუსოვანთა მოსავლის ერთი მეხუთედი მახარაძის რაიონიდან! — ასეთია მახარაძელთა გადაწყვეტილება.

მზარდი ... ...

საერთაშორისო ცხოვრება

საბჭოთა დელეგაცია მარაკოში

რაბათი, 28 აპრილი. (საკდესი). აქ ტუმრად არის საბჭოთა კავშირის არაპირველ ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გიგოშვილი. დელეგაცია შეხვდა ეროვნული განათლების სტატს-მდივანს ნ. ელ-ფასის. საბჭოთა სტუმრები მიიღო ა. აგრეთვე მაროკოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. შერკაუიმ.

გუშინ დელეგაციამ მაროკოში მოგზაურობა დაიწყო.

სსრ კავშირი 1967 წლის მსოფლიო გამოფენის მონაწილეა

მონრეალი, 29 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა კავშირი დღეს მონრეალის 1967 წლის მსოფლიო გამოფენის ოფიციალური მონაწილე გახდა. საბჭოთა ლაინერ „ალექსანდრე პუშკინზე“ საზეიმოდ ხეთ მოაწერეს ხელშეკრულებას. საბჭოთა ბანერი წიხა დღით ჩამოვიდა მონრეალის ბაზისადგურში პირველი ტრანსატლანტიკური რეისით.

„ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანი „ეკოლოგიურობისათვის“ — ასეთია საბჭოთა პავილიონის დევიზი. საბჭოთა პავილიონი ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი იქნება გამოფენაზე, დაიკავებს დაახლოებით 16 ათას კვადრატულ მეტრს. მხატვრებ ლიეთონებისა და მინის ნაგებობა დანამატკერი იქნება ფორმით და ორსახურებელი დაგეგმარების მხრივ. პავილიონის ექსპონატები მოგვითხრობენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაზე, მათ შემოქმედებითს შრომასა და მომავლის გეგმებზე, აგრეთვე სსრ კავშირის მზარდ საერთაშორისო ურთიერთობებზე.

ხო ში მინის ინტერვიუ

კაირო, 28 აპრილი. (საკდესი). როგორც მენის საგენტო იტყობინება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა ეგვიპტის ყოველკვირეულის „ალ-მუსავორსადმი“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ვიეტნამში მშვიდობის აღდგენის ერთადერთი გზაა ამერიკის აგრესიის შეწყვეტა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირეების ჯარების გაყვანა ვიეტნამიდან და ვიეტნამელი ხალხისათვის იმ უფლების მინიჭება, რომ თვითონ გადაჭრას თავისი პრობლემები.

ვიეტნამელი ხალხი, რომელიც უკვე ოცი წელია იბრძვის, დიდად არის დაინტერესებული მშვიდობით, აღნიშნა ხო ში მინმა. მაგრამ მან იცის, რომ შეუძლებელია ნამდვილი მშვიდობის დამყარება ნამდვილი დამოუკიდებლობის მიღწევამდე. უკვე ერთ წელზე მეტია ამერიკის შეერთებული შტატები განუწყვეტლივ აცხადებენ, რომ მზად არიან დაიწყონ მოლაპარაკება რაიმე წინასწარი პირობების დაუთქმელად. მაგრამ წინამდეგ ამ პირობებს აყენებენ. მათ სურთ დარჩნენ საბრძოლველ ვიეტნამში სურთ ვიეტნამი ორად გაყოფილი იყოს. დატოვონ თავიანთი ჯარები და თავიანთ სატელითა ჯარები სამხრეთ ვიეტნამში.

აქამდე, განაგრძო ხო ში მინმა, ამერიკის შეერთებული შტატები უარს აცხადებენ მოლაპარაკება დაიწყოს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულ ფრონტთან, რომელიც სამხრეთვიეტნამელი ხალხის ერთად ერთი ნამდვილი წარმომადგენელია. თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხაზგასმით აღნიშნა მან, ნამდვილად სურთ ვიეტნამის საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტა, ისინი უნდა დაეთანხმონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადების ოთხ პუნქტს. და დამატებეთ ეს კონკრეტული მოქმედებით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კატეგორიულად და ყოველგვარი პირობების დაუთქმელად უნდა შეწყვიტონ თავიანთი საჰაერო თავდასხმები და სხვა სამხედრო ოპერაციები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ნატოს „ატომური სტრატეგეგი“

ლონდონი, 28 აპრილი. (საკდესი). დღეს ლონდონში ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მაკნამარას თავჯდომარეობით გაიხსნა ნატოს „ატომური დაგეგმვის ჯგუფის“, ანუ როგორც მას უწოდებენ, მაკნამარას კომიტეტის ორი დღის თათბირი. თათბირში, რომელიც მმდინარეობს ინგლისის თავდაცვის სამინისტროს შენობაში, მონაწილეობენ ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიისა და თურქეთის თავდაცვის მინისტრები.

ლონდონის პოლიტიკურ მეთვალყურეებს ახლა აინტერესებთ საკითხი: როგორი იქნება მაკნამარას კომიტეტში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინ მოთხოვნების განხილვის შედეგები, რომ მონაწილეობა მიიღებინონ ატომური იარაღის გამოყენების საკითხის გადაჭრაში. როგორც ჩანს, სწორედ ეს იქნება „ატომური დაგეგმვის ჯგუფის“ დისკუსიათა მთავარი თემა. ამასთან დაკავშირებთ პრესა ფართოდ განმარტავს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დინ რასკის გუშინდელ განცხადებას, რომელმაც გასაგებად თქვა, რომ ამერიკა მზარს უჭერს დასავლეთ გერმანიის ატომურ პრეტენზიებს.

ლ. ჯონსონის წერილი ზანგების მოქალაქეობრივ უფლებათა შესახებ

ვაშინგტონი, 29 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ვ. კოპეტინი იუწყება: შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა კონგრესს გაუგზავნა წერილი ზანგების მოქალაქეობრივ უფლებათა შესახებ.

მიუხედავად იმისა, ნათქვამია პრეზიდენტის წერილში, რომ უკანასკნელ ცხრა წელიწადში მიღებულ ოთხი კანონი ზანგების მოქალაქეობრივ უფლებათა შესახებ, „რასობრივი დისკრიმინაცია ჯერ კიდევ არის ამერიკის ბევრ ნაწილში. ზანგებს საშუალება არ ეძლევათ გამოიყენონ თავიანთი მოქალაქეობრივი უფლებები“.

პრეზიდენტმა თავის წერილში დასახატა დღევანდელი ამერიკის შავკანიანი მოქალაქის ცხოვრების უნუგეშო სურათი. ქვეყნის ხუთ სამხრეთ შტატში, ნათქვამია წერილში, არჩევნებში მონაწილეობისათვის რეგისტრირებულია მოზრდილი ზანგი მოსახლეობის 40 პროცენტზე მხოლოდ ცოტა მეტი; არაერთხელ დასხმიან თავს ქალებსა და მამაკაცებს, რომელნიც ესწრაფოდნენ მხოლოდ თანასწორობას ყველა ამერიკელისათვის; ქვეყნის ბევრ რაიონში ნაფიც მსაჯულებად სასამართლო პროცესებზე, რომლებიც რასობრივ დანაშაულებებს ეხებიან, ირჩევდნენ მხოლოდ თეთრკანიანებს, რომლებიც რასსისტების მხარეზე გამოდიან; ზანგები შეადგენენ ქვეყნის მუშახელის მხოლოდ 11 პროცენტს, მაგრამ უმუშევართა 20 პროცენტს; ამერიკის მთელი მოსახლეობის მეხუთედი სიღარიბეში ცხოვრობს, ზანგთა 50 პროცენტი ან მთლად გაღატაკებულია; ზანგების იმ ბავშვთა 30 პროცენტი, რომლებიც სკოლაში დადიან, ასაკგადაცილებულია.

შეერთებულ შტატებში რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად ჯონსონმა დასახა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: ზანგებსი და მოქალაქეობრივ უფლებათათვის მებრძოლთ „უფრო ეფექტიანად უნდა იცავდეს“ კანონი; შემოღებულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის წესი, რომლის მიხედვით ზანგები უნდა შეიყვანონ მსაჯულთა რიცხვში და სხვ.

დემონსტრაცია სანტო-დომინგოში

ნიუ-იორკი, 29 აპრილი. (საკდესი). მიმდინარეობა ანტიამერიკულმა დემონსტრაციამ კვლავ შეარყია გუშინ დომინგოს რესპუბლიკის დედაქალაქი. ათასობით ადამიანი გამოვიდა ქალაქის ქუჩებში შემახილებით: „იანკებო, გაეცალეთ აქაურობას!“, „ძირს ამერიკელებო!“.

როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, მთავარი ამბები მოხდა დამოუკიდებლობის მოედანზე, სადაც წაიკითხეს დომინგოელ სტუდენტთა მიმართვა ამერიკელი ხალხისადმი.

შეერთებული შტატების ქალებო და მამაკაცებო, ნათქვამია ამ მიმართვაში, შეხედეთ, რა მოუვიდა დომინგოს რესპუბლიკას ამერიკის შემოჭრის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ; მოითხოვეთ, რომ ოქვენი ქვეყნის მმართველმა მაგნატებმა შეწყვიტონ აგრესიისა და ექსპლოატაციის პოლიტიკა, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ყველა ხალხის მთავარ მტრად გაუადა.

დემონსტრაციის დროს დაწვეს სამი ამერიკული ალამი.

პოლიცია შეეცადა დომინგოელები არ მიეშვა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის შენობასთან, რისთვისაც დაიკავა ყველა მისადგომი. მიუხედავად ამისა, სტუდენტთა ჯგუფმა შეძლო მიეღწია ელჩისაკენ.

მილიტარიზაციის ფინანსები

ვაშინგტონი, 29 აპრილი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა ხმის დიდი უმრავლესობით მოიწონა კანონპროექტი 17,1 მილიარდი დოლარის ასიგნების შესახებ იმ მიზნით, რომ ამერიკის არმია აღჭურვონ ახალი ოვითმფრინავებით, რაკეტებით, ხომალდებთან, აგრეთვე განახორციელონ კვლევითი სამუშაოები და გამოიდები, 1967 საფინანსო წელს შექმნან უახლეს სახეობათა იარაღი.

სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიის წინადადებით კანონპროექტში შეიტანეს აგრეთვე ასიგნებანი 243 მილიონი დოლარის ოდენობით რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესაქმნელად ატომურრაგიანი საბრძოლო წყალზედა ხომალდისა და ბევრი ზესწრაფი დამპერი თვითმფრინავის შეძენებლობისათვის.

ომის საჭიროებისათვის 17 მილიარდზე მეტი დოლარის ასიგნების კანონპროექტი ახლა დასამტკიცებლად იგზავნება კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში.

ომის გაფართოების გეგმები

ვაშინგტონი, 28 აპრილი. (საკდესი). ვაშინგტონში ამუშავებენ ვიეტნამის ომის ახალი მნიშვნელოვანი გაფართოების გეგმებს, რათა მომავალი წლის დამდეგს „გადამჭრელ გარდატეხასა“ მიაღწიონ სამთან მოქმედებაში. პატრიოტული ძალების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, განზრახულია ამერიკის ჯარების რიცხვი მიმდინარე წლის დამლეგისათვის გაზარდონ 400 ათას კაცამდე.

მაისის დამდეგს ვაშინგტონში დაბრუნდება ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სამხრეთ ვიეტნამში ლოჯი. იგი მონაწილეობას მიიღებს მთელ რიგ თათბირებში, რომლებიც თეთრ სახლში გაიმართება, და რომლებზეც დაიხუსტებენ ვიეტნამის ომის შემდგომ გეგმებს.

ბელგიის მოსახლეობა

ბრიუსელი, 28 აპრილი. (საკდესი). თანახმად სტატისტიკური მონაცემებისა, რომლებიც დღეს გამოქვეყნდა ბელგიის გაზეთებში, ბელგიის მოსახლეობამ 1965 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინდა 9.499.234 კაცს.

შარშან მოსახლეობას მოემატა 71.134 კაცი.

გრიგალი ტეხასში

ნიუ-იორკი, 29 აპრილი. (საკდესი). უმაგალითო ძალის გრიგალი და კოკისპირული წვიმა დაატყდა თავს დღეს ამერიკის ქალაქ დალასს ტეხასის შტატში. ძლიერ დაზიანებულა ბაზაკეცლები და ქალაქის ქუჩები, ადიდებული მდინარე ტრინიტის ხიდები წყალმა წაიღო, დანგრეულია ასობით სახლი, ქალაქის ბევრი რაიონი ელექტროდენად დარჩა. ზვიდი კაცი შეიწირა ამობომკრებულმა სტიქიონმა.

... ქვეყნებში

△ ნიუ-იორკი, დამთავრდა ამერიკის მთელი რიგი შტატების (ენენტუის, ოჰაიოს, პენსილვანიისა და სხვ.) 60 ათასი მეშახტის გაფიცვა, რომელიც 11 აპრილს დაიწყო. მაღაროელთა გაერთიანებული პროფკავშირის წარმომადგენლებმა მეწარმეებთან ახალი კოლექტიური ხელშეკრულება დადეს. მეწარმენი იძულებული იყვნენ დაეკმაყოფილებინათ მეშახტეთა მოთხოვნა ხელფასის მომატების შესახებ.

ნიუ-იორკის მეგზაურთეთა გაფიცვა გრძელდება. ახალი საგამომცემლო კორპორაციის „უორლდ ჯორნელ ტრიბუნის“ გაზეთები არ გამოდის.

△ რომი. 27 აპრილი. იტალიაში დიდი საგაფიცვო მოძრაობების დღე იყო. გაფიცა ეოთი მილიონზე მეტი მეტალურგი და მანქანათმშენებელი, კვების მრეწველობის 600 ათასი მუშაკი, ცემენტის ქარხნების მუშები, მეხანძრეები, კავშირგაბმულობის მუშაკები და იტალიის მუშაკთა კლასის სხვა რაზმები.

გაფიცვები გამოაცხადეს იმის პასუხად, რომ კონფინდუსტრიის (იტალიელ მრეწველთა კონფედერაციის) ხელმძღვანელებს შეურიგებელი პოზიცია უკავიათ.

კონფინდუსტრიის პრეზიდენტმა კოსტამ თქვა: დღეებში განაცხადა, რომ „გამორიცხულია ხელფასის ყოველგვარი მომატება“. მაგრამ, როგორც გაფიცვები ცხადყოფენ, იტალიის მშრომელები არ აპირებენ შეურიგდნენ ასეთ მდგომარეობას. (საკდესი).

უმუშევრობა კოლუმბიაში

15-დან 20 წლამდე ასაკის ათასზე მეტი ქალიშვილი შეიკრიბა დილით ადრე კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტის ერთ-ერთ ქუჩაზე გრამაფონის ფირფიტებს მაღაზია „რაფალოს“ წინ. ისინი მოვიდნენ იმისათვის, რომ სამუშაოზე დამდგარიყვნენ განცხადების თანახმად: მაღაზიას სჭირდებოდა ოთხი გამყიდველი თვეში 450 პესო (დაახლოებით 25 მანეთი) ჯამაგირით. თანხა თავისთავად დიდი არ არის, მაგრამ კოლუმბიაში, სადაც ნახევარ მილიონზე მეტი უმუშევარია, რაც ამ ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 10 პროცენტს შეადგენს, ასეთი სამუშაოს შოვნაც სანატრელია.

სცენა, რომელიც მაღაზიის წინ გაიმართა, მოგვაგონებდა ცნობილ იტალიურ ფილმს „რომი 11 საათზე“. აურზაურში პრეტენდენტმა ქალიშვილებმა რიგი დაარღვიეს, ცოცხალ ბოლქვად შეიკრნენ და მაღაზიის ვიტრინა ჩაამტვრიეს. წესრიგის აღსადგენად გამოძახებულ იქნა პოლიცია, სავაჭრო საწარმოს პატრონი კი იძულებული გახდა სამუშაოზე მიეღო ექვსი ქალიშვილი ნაცვლად ოთხისა. ექვსმა მოიგო ეს ბრძოლა არსებობისათვის, ათასმა წააგო.

სურათზე: ქალიშვილები მაღაზია „რაფალოს“ წინ. (აან).

... ...



ᲡᲐᲦᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲕᲐᲭᲠᲘᲚᲘᲗᲘᲗ

ᲓᲘᲓᲘ გამოცოცხლებაა თბილისის მაღაზიებსა და საკოლმეურნეო ბაზრებში. თადარიგის მოყვარული დიასახლისები ახლაგე ყველფერს იძენენ, რომ ხელზეგიანი შეხვდნენ დღესასწაულს.

წინასადღესასწაულო დღეებში ქალაქის გასტრონომიულ მაღაზიებში დამატებით იღებენ სასურსათო პროდუქტებს. იყიდება 30 ტონამდე ძეხვეულის ნაწარმი, მათ შორის 4-5 ტონა ღორის შაშხი. დიდი რაოდენობით გამოაქვთ ქართული და ევროპული ყველი, ბეღრია ყვერცხი, რძის სხვადასხვა ნაწარმი.

სადღესასწაულოდ საკონდიტრო კომბინატმა და მარმელადის ფაბრიკამ გამოიშვეს ლამაზად შეფუთული ახალი ნაწარმი.

დედაქალაქის კაროვის, ნაიოლოეის, ლენინის, ორჯონიკიძის რაიონების საკოლმეურნეო ბაზრებში ახმეტის, საგარეჯოს, თეთრი წყაროს, ლენინგორისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებიდან შემოტანილ დიდძალი პროდუქტები, რამდენიმე ათეული ტონა ახალი ხორცი, ფრინველი, ბატკანი, გოჭი.

სადღესასწაულო სუფრის მომზადებაში ჩვენს დიასახლისებს დიდ დახმარებას გაუწევენ დედაქალაქის კულინარიული მაღაზიები და საოჯახო სამზარეულოები. აქ იყიდება სხვადასხვა სახის ხორცის, თევზის ნახევარფაბრიკატები და მზა კერძები. საოჯახო სამზარეულოებში დიასახლისებს შეუძლიათ შეუკვეთონ საქირო კერძები.

ქალაქის კოლეგებში „მეტროში“, „ცისკარში“, „დილაში“, აგრეთვე ზოგიერთ რესტორანსა და სასადილოში მოეწყო კულინარიული და საკონდიტრო ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა.

დღესასწაულის დღეს ქალაქის მოედნებსა და ქუჩებში, დასვენების ადგილებში ლამაზად გაფორმებული მანქანებით მაღაზიები გასაყიდად გამოიტანენ სხვადასხვა სასურსათო ნაწარმს.

◇ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ◇

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲣᲡᲛᲔᲜᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲡ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᯖᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ ᲡᲣᲚᲮᲐᲜ ᲜᲐᲡᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ.

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ამიერკავკასიის მუსიკალურ გაზაფხულზე უცხოელ სტუმართა შორის ბულგარელებიც იყვნენ. ქართულმა მუსიკამ მოწვეულ კომპოზიტორებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ამის დამადასტურებელია ქართული კამერული მუსიკის დღეები ბულგარეთში, რაც რვიდან თვრამეტ აპრილამდე გაიმართა. ამ დღესასწაულზე საგანგებოდ მიიწვიეს ქართველ კომპოზიტორთა ჯგუფი. საქართველოში დაბრუნებისას ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კომპოზიტორ **სულხან ნასიძეს** და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

— როგორია ბულგარეთში ქართული მუსიკის კვირეულისაგან მიღებული საერთო შთაბეჭდილება?

— ქართული მუსიკის დღეები უცხოეთში პირველად გაიმართა. ეს მოვლენა საგულისხმოა, რადგან ჩვენი ერის მუსიკალური კულტურის მაღალი დონის დამადასტურებელია. სახარულით შემძლია ვთქვა, რომ ჩვენი კომპოზიტორების შემოქმედება, რომელიც ამ ბოლო ხანს სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი, შინაარსიანი და თანამედროვე გახდა, გამძაბილსა და საერთო რეზონანსს პოულობს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ჩვენი ქვეყნის გარეთაც. ამაში დავრწმუნდი ბულგარეთში ყოფნისას, როცა შევამჩნიე მასპინძელთა დიდი ინტერესი ჩვენი მუსიკალური კულტურისადმი.

— როგორი იყო ქართველ კომპოზიტორთა დელეგაციის შემადგენლობა?

— დელეგაციას მეთაურობდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე რესპუბლიკის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი **დავით თორაძე.** ქართველ კომპოზიტორთაგან ვიყავით: ს. ცინცაძე, რ. გაბიჩავაძე, ვ. ყანჩელი, ნ. გაბუნია, ვ. აზარაშვილი, ნ. მამისაშვილი და მე. დელეგაციის შემადგენლობაში იყო აგრეთვე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მუსიკათმცოდნე პაველ ხუჟუა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩვენი ჯგუფის ყველაზე უმცროსი წევრი, ნორჩი პიანისტი ლევსო თორაძე.

— რომელ ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები შეასრულეს ბულგარელმა მუსიკოსებმა?

— ბულგარელებმა შეასრულეს ალექსი მაკავარიანის, ოთარ თაქთაქიშვილის, ბიძინა კვერნაძისა და იმ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, რომელნიც სტუმრად ვიმყოფებოდნენ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ ნაწარმოებებს ასრულებდა სოფიის სახელმწიფო კამერული ორკესტრი, სიმებიანი კვარტეტი და ბულგარეთის საუკეთესო ვოკალისტები.

— რომელ ნაწარმოებს ხვდა ყველაზე მეტი წარმატება?

— ძალიან ძნელია რომელიმე კომპოზიტორის ან ნაწარმოების გამოყოფა. ვგონებ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ყველა ნაწარმოებს მეტ-ნაკლებად ერთნაირი წარმატება ხვდა. ამ ნაწარმოებებს კამერული მუსიკის მოყვარულნი ჩვენში კარგად იცნობენ, მაგრამ მე მაინც მინდა, ჩამოვთვალო ისინი: ო. თაქთაქიშვილის ორი ვოკალური პოემა გალაკტიონის ტექსტზე, ა. მაკავარიანის ორი რომანსი, დ. თორაძის ორი არია ოპერიდან „ჩრდილოეთის პასპარალი“, რ. გაბიჩავაძის ექვსი პიესა ფორტეპიანოსათვის, ს. ცინცაძის V სიმფონია კვარტეტი, ნ. გაბუნიას იმპროვიზაცია და ტოკატა, ვ. ყანჩელის საფორტეპიანო პიესა „კოტრასტები“, ვ. აზარაშვილის ორი მინიატიურა კამერული ორკესტრისათვის, ბ. კვერნაძის საფორტეპიანო პიესა და ჩემი პოლიფონიური სონატა ფორტეპიანოსათვის. ზემოთხსენებულს მინდა დაკუმატო კომპოზიტორ ნ. მამისაშვილის კონცერტი ფორტეპიანოსათვის, რომელიც ნორჩმა პიანისტმა ლ. თორაძემ შეასრულა. აღსანიშნავია რომ იგი ერთადერთი შემსრულებელი იყო ჩვენს დელეგაციაში. მიზეზის ამიერკავკასიის მუსიკალურ გაზაფხულზე მოუსმენია ბულგარეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარეს, ბულგარეთის სახალხო არტისტს, კომპოზიტორ ფილიპე კუტევსა და კავშირის გენერალურ მდივანს, კომპოზიტორ ტოდორ პაპოვს და იმდენად მოსწონებიათ, რომ ჩვენ „დელეგაციასთან ერთად მისი პერსონალური მიწვევა გადაუწყვეტიათ. როგორც ჩვენში, ისე ბულგარეთშიაც ნორჩ შემსრულებელს დიდი წარმატება ხვდა.

— სად გამართეთ კონცერტები?

— კონცერტი ბულგარეთის დედაქალაქ სოფიის კომპოზიტორთა კავშირის საკონცერტო დარბაზში გავმართეთ. იგი თითქმის ჩვენი, თბილისის კონსერვატორიის მცირე საკონცერტო დარბაზის ზომისაა და კარგი აკუსტიკა აქვს.

კონცერტის დაწყებამდე მოკლედ და გულთბილად მოგვესალმა კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ფილიპე კუტევი. კონცერტს წინ უძღოდა ბულგარეთის მუსიკალური ეფრსა-ის მთავარი რედაქტორის, მუსიკათმცოდნე დიმიტრი ზინგინოვის მოხსენება ქართული მუსიკის ისტორიისა და საკონცერტო პროგრამის შესახებ.

— როგორი იყო ბულგარეთის პრესის გამობმაურება ქართული კამერული მუსიკის დღეებში?

— ეს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“, გაგაცნობთ მხოლოდ ერთ ნაწყვეტს სტატიიდან, რომელიც ჩვენს იქ ყოფნასა და ქართულ მუსიკას მიეძღვნა. „მრავალრიცხოვან მაყურებელთა ტაში მეგობრობის დასტურად იქცა, ხოლო თაიგულები ჩვენი სტუმრების შემოქმედების სიყვარულად და აღიარებად“. მსურს აგრეთვე მოვიგონო პრეს-კონფერენცია, რომელიც სოფიაში ჩასვლისთანავე მოგვიწყეს. პრეს-კონფერენციაზე ეკითხებოდნენ მოგვმართავდნენ მრავალი კითხვით, რომლებიც ქართული მუსიკის წარსულს, აწმყოსა და მომავალს ეხებოდა.

— რა შეიძლება თქვათ ბულგარეთში ქართული კამერული მუსიკის დღეების მნიშვნელობაზე?

— უწინარეს ყოვლისა მინდა ერთი ჰეშმარიტება გავიხსენო — მუსიკა მეგობრობის გზაა, და თუ ეს ასეა ორი ძმური ერის ურთიერთობის წიგნში ვიდეე ერთი სასახარულო სტრიქონი ჩავწერეთ, ბულგარელებმა ქართული ჰანგები მოისმინეს, ჩვენ მათი კეთილი განწყობილება ჩამოვიტანეთ. გარდა ამისა. საქართველოში ახლო მომავალში მოვაწყობთ ბულგარული მუსიკის კვირეულს და ჩვენს ხალს, მუსიკისმოყვარეულთ საშუალება ეძნებათ უშუალოდ მოუსმინონ იმ ერის მუსიკას, რომლის პროფესიული დონეც ძლიერ მაღალია.

— თქვენ არაფერი გითქვამთ პირად შთაბეჭდილებებზე.

— პასუხი ამ კითხვაზე დასასრულისათვის საგანგებოდ შემოვინახე. ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ ქართულ სტუმართმოყვარეობაზე. მინდა ვთქვა — ბულგარელები ძალიან სტუმართმოყვარენი არიან. თითქმის მთელი ბულგარეთი დაგვათვალიერებინეს. მოვისმინეთ ბულგარული მუსიკა, გავეცანით მასპინძელთა ხელოვნებას, აღტაცებული ვართ ხალხური სიმღერებით. მინდა მოვიგონო ბავშვთა შესანიშნავი თვითმოქმედი გუნდები, რომლის შესრულებით მოვისმინეთ ქართველი კომპოზიტორის მერაბ ფარცხალაძის საგუნდო სიმფონია. საერთოდ ჩვენი მეგობრული მუსიკალური სალამოების შემდეგ თავის რეპერტუარში ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები ბევრმა პროფესიულმა შემსრულებლო კოლექტივმა და სოლისტმა შეიტანა. მასპინძლებმა დაგვათვალიერებინეს ის ისტორიული ადგილები, სადაც X-XI საუკუნეში ქართველ ძმებს ბაკურიანებს ქრისტიანული ეკლესია აუგიათ.

ჩამოვედით და თან ჩამოვიტანეთ მდიდარი შთაბეჭდილებანი. გვიხარია და ვამაყობთ — ქართულ მუსიკას კიდევ არაერთი მეგობარი შეეძინა.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ქართველი მუსიკოსები სტუმრად ბულგარეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარესთან. ბულგარეთის სახალხო არტისტი ფილიპე კუტევთან. მარცხნიდან მარჯვნივ — ნოდარ გაბუნია, სულხან ნასიძე, ვაჟა აზარაშვილი. დავით თორაძე, ფილიპე კუტევი, პაველ ხუჟუა, ლევსო თორაძე.

ᲑᲔᲕᲠᲘ ტურისტი და მგზავრი მოუხიბლავს თავისი სილამაზით ბათუმის ხანაპიროს. უკანასკნელ წლებში ქალაქმა სახე იცვალა, გალამაზდა, გამშვენიერდა. **ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ:** ბათუმი. ხანაპიროს ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲐᲠᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲖᲣᲛᲠᲝᲑᲔᲑᲘ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ მატჩის პირველი მესამედი. ეს იმას ნიშნავს, რომ პეტროსიანმა 33 პროცენტით დაიცვა წოდება. მსოფლიოს ჩემპიონის გულშემატკივრები პირველი 8 შეხვედრით კმაყოფილნი არიან. პეტროსიანმა გვიჩვენა მშვენიერი თეორიული მომზადება. იგი რამდენადმე უფრო ძლიერია სტრატეგიულ თამაშში მართალია, მსოფლიოს ჩემპიონი ცაიტნოტში ხვდება, მაგრამ ეს, ეტყობა, დროებითი მოვლენაა, რომლისგანაც პეტროსიანი მალე განიკურნება. მთავარი კი ისაა, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა, როგორც ცნობილია, გახსნა ანგარიში.

სპასკის მომზრეთა კოლოსალური არმია ცოტა არ იყოს იმედგაცრუებულია. პრეტენდენტი დებიუტებში ვერ იღებს კარგ პოზიციებს. ნუთუ ბორისი ამ მატჩზე ვარიანტების ცარიელი ჩემოდნით ჩამოვიდა? არც ისეთი ჭკვიანური ფსიქოლოგიური ტაქტიკა ჩანს. როგორც სპასკის ტალთან მატჩში ჰქონდა.

პეტროსიანი და სპასკი ძველი ნაცნობები არიან. დღევანდელი შეხვედრა მათი მეოცე პარტიაა 18 წლის მანძილზე. დღემდე სპასკიმ ერთხელაც ვერ დაამარცხა პეტროსიანი და ეს მასზე ფსიქოლოგიურად მოქმედებს.

როგორც ცნობილია, მეშვიდე პარტიაში სპასკიმ უღალატა მეფის მაიკოთ სვლას და დაისჯა. დღეს მეცხრე პარტიაში ისევ მეფის აიკოთ დაიწყო თამაში. პეტროსიანმა კროკანის დაცვა აირჩია.

დებიუტიდან პრეტენდენტი საუცხოო პოზიციით გამოვიდა, მაგრამ შემდეგ პეტროსიანს საშუალება მისცა გაეთანაბრებინა პოზიცია. 26-ე სვლაზე მსოფლიოს ჩემპიონის წინადადებით ყაიმი აღინიშნა.

პრეს-ბიუროში გროსმაისტერები თავებს აკანკალებენ. საოცარი ტაქტიკა აქვს ბ. სპასკის! რა უნდა მას?

ამით აპრილის შეხვედრები დამთავრდა. ანგარიშია 8:1 ყაიმების სასარგებლოდ. ახლა უნდა ვიოცნებოთ, რომ მაისი უფრო მხიარული გამოდგეს და პრეტენდენტის აპრილის ხუმრობები ამით დამთავრდეს.

აი როგორ წარიმართა ეს პარტია:

1. e4 c6 2. d4 d5 3. ed cd 4. c4 ∂f6 5. ∂c3 e6 6. ∂f3 ∂e7 7. cd ∂:d5 8. ∂d3 ∂c6 9. 0-0 0-0 10. ∂e1 ∂f6 11. ∂e4 ∂ce7 12. ∂c2 g6 13. ∂h6 ∂g7 14. ∂g5 f6 15. ∂d2 ∂d7 16. ∂b3 ∂c6 17. ∂:d5 ed 18. ∂e4 ∂f7 19. ∂c5 ∂f5 20. h3 ∂f8 21. ∂e6 ∂d7 22. ∂:f8 ∂f:f8 23. ∂b4 ∂fe8 24. ∂:e8+∂:e8 25. ∂e1 ∂:e1 26. ∂:e1 ყაიმი.

ᲡᲐᲚᲝ ᲤᲚᲝᲠᲘ,
გროსმაისტერი.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲝᲚᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ა. ბუსლაევისა და რ. ჯიხაშვილის მატჩი ᲕᲐᲠᲓᲠᲐᲜᲨᲘ დასასრულს უახლოვდება.

გუშინ რესპუბლიკურ საკალთაკო კლუბში შედგა მეოთხე პარტია. **ᲑᲣᲡᲚᲐᲔᲕᲘᲡ** დებიუტიდან ერთგვარ წარმატებას მიაღწია, შემდეგ კი ორი პაიკი მოგება, მაგრამ პარტია არ დამთავრებულა. მართალია, **ᲑᲣᲡᲚᲐᲔᲕᲘᲡ** მატერიალური უპირატესობა აქვს, მაგრამ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მისი გამოყენება ძნელი იქნება და მოსალოდნელია ყაიმი.

ოთხი პარტიის შემდეგ მოწინააღმდეგეებს ქულანახევარ-ქულანახევარი და ერთი გადადებული პარტია აქვთ. დღეს მოიწყობა ამ პარტიის დამთავრება.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

№ 18

1966 წლის 28 აპრილი

ქ. თბილისი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ 1966 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

§1

1966 ᲬᲚᲘᲡ 1 მაისს, მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის — პირველ მაისის აღსანიშნავად, რუსთაველის პროსპექტზე 10.00 საათზე დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ა. ტ. **ᲡᲢᲣᲠᲣᲐᲜᲘᲫᲔ.**

პარადის სარდლობა ნაბრძანები მაქვს მე.

§2

ნაწილების მეთაურებმა პარადზე გამოიყვანონ ჯარები დამტკიცებული გაანგარიშების მიხედვით. რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობა დამთავრდეს 9 საათსა და 45 წუთზე. ტანსაცმლის ფორმა საზაფხულო; სპარადოა.

§3

თბილისის გარნიზონის კომენდანტმა პოლკოვნიკმა **ᲓᲣᲑᲝᲠᲓᲔᲚᲛᲐ** მოახლინოს საარტილერიო სალუტი ჩემ მიერ მიცემულ მითითებათა თანახმად.

§4

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობისა და გავლის დროს წესრიგის დაცვის საერთო ხელმძღვანელობას ეწევა ქალაქ თბილისის გარნიზონის კომენდანტს პოლკოვნიკ **მ. ა. ᲓᲣᲑᲝᲠᲓᲔᲚᲡ.**

თბილისის გარნიზონის უფროსი
სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი
Დ. ᲓᲠᲐᲒᲣᲜᲩᲘᲫᲔ.

ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲖᲣᲛᲠᲝᲑᲔᲑᲘ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ მატჩის პირველი მესამედი. ეს იმას ნიშნავს, რომ პეტროსიანმა 33 პროცენტით დაიცვა წოდება. მსოფლიოს ჩემპიონის გულშემატკივრები პირველი 8 შეხვედრით კმაყოფილნი არიან. პეტროსიანმა გვიჩვენა მშვენიერი თეორიული მომზადება. იგი რამდენადმე უფრო ძლიერია სტრატეგიულ თამაშში მართალია, მსოფლიოს ჩემპიონი ცაიტნოტში ხვდება, მაგრამ ეს, ეტყობა, დროებითი მოვლენაა, რომლისგანაც პეტროსიანი მალე განიკურნება. მთავარი კი ისაა, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა, როგორც ცნობილია, გახსნა ანგარიში.

სპასკის მომხრეთა კოლოსალური არმია ცოტა არ იყოს იმედგაცრუებულია. პრეტენდენტი დებიუტებში ვერ იღებს კარგ პოზიციებს. ნუთუ ბორისი ამ მატჩზე ვარიანტების ცარიელი ჩემოდნით ჩამოვიდა? არც ისეთი ჭკვიანური ფსიქოლოგიური ტაქტიკა ჩანს. როგორც სპასკის ტალთან მატჩში ჰქონდა.

პეტროსიანი და სპასკი ძველი ნაცნობები არიან. დღევანდელი შეხვედრა მათი მეოცე პარტიაა 18 წლის მანძილზე. დღემდე სპასკიმ ერთხელაც ვერ დაამარცხა პეტროსიანი და ეს მასზე ფსიქოლოგიურად მოქმედებს.

როგორც ცნობილია, მეშვიდე პარტიაში სპასკიმ უღალატა მეფის აიკოთ სვლას და დაისჯა. დღეს მეცხრე პარტიაში ისევ მეფის აიკოთ დაიწყო თამაში. პეტროსიანმა კროკანის დაცვა აირჩია.

დებიუტიდან პრეტენდენტი საუცხოო პოზიციით გამოვიდა, მაგრამ შემდეგ პეტროსიანს საშუალება მისცა გაეთანაბრებინა პოზიცია. 26-ე სვლაზე მსოფლიოს ჩემპიონის წინადადებით ყაიმი აღინიშნა.

პრეს-ბიუროში გროსმაისტერები თავებს აკანკალებენ. საოცარი ტაქტიკა აქვს ბ. სპასკის! რა უნდა მას?

ამით აპრილის შეხვედრები დამთავრდა. ანგარიშია 8:1 ყაიმების სასარგებლოდ. ახლა უნდა ვიოცნებოთ, რომ მაისი უფრო მხიარული გამოდგეს და პრეტენდენტის აპრილის ხუმრობები ამით დამთავრდეს.

აი როგორ წარიმართა ეს პარტია:

1. e4 c6 2. d4 d5 3. ed cd 4. c4 ∂f6 5. ∂c3 e6 6. ∂f3 ∂e7 7. cd ∂:d5 8. ∂d3 ∂c6 9. 0-0 0-0 10. ∂e1 ∂f6 11. ∂e4 ∂ce7 12. ∂c2 g6 13. ∂h6 ∂g7 14. ∂g5 f6 15. ∂d2 ∂d7 16. ∂b3 ∂c6 17. ∂:d5 ed 18. ∂e4 ∂f7 19. ∂c5 ∂f5 20. h3 ∂f8 21. ∂e6 ∂d7 22. ∂:f8 ∂f:f8 23. ∂b4 ∂fe8 24. ∂:e8+∂:e8 25. ∂e1 ∂:e1 26. ∂:e1 ყაიმი.

ᲡᲐᲚᲝ ᲤᲚᲝᲠᲘ,
გროსმაისტერი.

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივები განაგრძობენ ბრძოლას საკავშირო ჩემპიონატში. პირველ ქვეჯგუფში, სადაც სხვებთან ერთად გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — თბილისის „ლოკომოტივი“ და ბათუმის „დინამო“, გაკლილია ოთხი ტური.

როგორია ლიდერთა ჯგუფში შემავალი გუნდების სატურნირო მდგომარეობა ღღეისათვის?

გათამაშების ცხრილის სათავეში დგას კრასნოდარის „უუბანი“, რომელსაც ჯერჯერობით არც ერთი მატჩი არ წაუგია და 8 შეხვედრიდან ბურთების კარგი სხეაობით — 8-1 7 ქულა აქვს. ამდენივე თამაშიდან ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩება კიროვაბადის „დინამო“.

ხუთ გუნდს — ივანოვოს „ტექსტილშჩიკს“, სტავროპოლის „დინამოს“, ვილნიუსის „ჟალგირისს“, გროზნოს „თერგსა“ და თბილისის „ლოკომოტივს“ — ხუთ-ხუთი ქულა აქვთ. „ა“ კლასის მეორე ჯგუფის დებიუტანტი — ბათუმის „დინამო“ სამი ეთამაშიდან შეგროვილი სამი ქულით მეთერთმეტე ადგილზეა. აუტსაიდერია გომელის „სპარტაკი“. სამი მატჩიდან მან სამივე წააგო.

მორიგი ტურის მატჩები შედგება 2 მაისს. თბილისის „ლოკომოტივსა“ და ბათუმის „დინამოს“ გასვლითი თამაშები აქვთ. „ლოკომოტივი“ გომელში შეხვდება ადგილობრივ „სპარტაკს“, ბათუმის „დინამო“ — ვილნიუსში „ჟალგირისს“.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲘᲨᲗᲐᲜ

ᲩᲘᲚᲘᲡ კალათბურთის 50 წლისთავის აღსანიშნავი საერთაშორისო ტურნირი კალათბურთელ ეფთა გუნდებს შორის დასასრულს უახლოვდება.

გიამართა უკანასკნელისწინა შეხვედრები. ცენტრალურ სასპორტოზალს წარმოადგენდა ოლიმპიური ჩემპიონის — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდისა და მსოფლიოს ჩემპიონების — ბრაზილელ კალათბურთელთა მატჩი. შეუპოვარ ბრძოლაში წარმატება ამერიკელებს ხვდათ ანგარიშით 77:61. იუგოსლაველებმა დაამარცხეს მასპინძლები — ჩილის კალათბურთელები 91:73.

გუშინ გვიან ღამით საბჭოთა გუნდი შეხვდა ბულგარეთის ნაკრებს, დღეს კი გადამწყვეტი მატჩი ექნება ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელებთან.

წინ არიან იუგოსლავიისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები. საბჭოთა კალათბურთელები ლიდერებს 2 ქულით ჩამორჩებიან, მაგრამ ერთი თამაშით ნაკლები აქვთ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲠᲘᲣᲛᲤᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა გუნდმა ჩრდილოეთ ამერიკაში დაამთავრა ძლევამოსილი ტურნე, რომელშიც 6 გამარჯვება მოიპოვა ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის საუკეთესო გუნდებთან.

ეგრეთწოდებულმა „სპორტსმენთა საერთაშორისო კლუბმა“ სპეციალური პრიზი მიანიჭა საბჭოთა ნაკრები გუნდის კაპიტანს **ᲜᲘᲜᲝ ᲑᲝᲜᲓᲐᲠᲩᲣᲚᲘᲐᲡ,** რომელიც მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელად მიიჩნია ქალებს შორის.

ᲒᲝᲚᲝᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲠᲢᲔᲒᲖᲔ

ᲒᲝᲚᲝᲜᲘᲘᲨᲘ გრძელდება დევისის თასის გათამაშება ჩოგბურთში. გუშინ გაიმართა წყვილთა ასპარეზობა. საბჭოთა ჩოგბურთელებმა **ლეიუსმა** და **ლიხაჩოვმა** დაამარცხეს **დიმასი** და **მაიოლი.**

ამრიგად, დღეისთვის სსრ კავშირისა და იტალიის გუნდების მატჩის ანგარიშია 2:1 იტალიელთა სასარგებლოდ.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

ᲜᲘᲜᲝ ᲑᲝᲜᲓᲐᲠᲩᲣᲚᲘᲐᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲛᲐ ᲒᲣᲜᲓᲛᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲫᲚᲔᲕᲐᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲢᲣᲠᲜᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ 6 �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲘᲝᲞᲝᲕᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲗᲐᲜ.

ᲔᲒᲠᲔᲗᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡᲛᲐ „ᲡᲠᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲚᲣᲑᲛᲐ“ ᲡᲠᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ ᲛᲘᲐᲜᲘᲭᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲚ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ.

ᲒᲝᲚᲝᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲠᲢᲔᲒᲖᲔ

ᲒᲝᲚᲝᲜᲘᲘᲨᲘ გრძელდება დევისის თასის გათამაშება ჩოგბურთში. გუშინ გაიმართა წყვილთა ასპარეზობა. საბჭოთა ჩოგბურთელებმა **ლეიუსმა** და **ლიხაჩოვმა** დაამარცხეს **დიმასი** და **მაიოლი.**

ამრიგად, დღეისთვის სსრ კავშირისა და იტალიის გუნდების მატჩის ანგარიშია 2:1 იტალიელთა სასარგებლოდ.

ᲩᲔᲛᲘᲝᲠᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲝᲚᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ა. ბუსლაევისა და რ. ჯიხაშვილის მატჩი ᲕᲐᲠᲓᲠᲐᲜᲨᲘ დასასრულს უახლოვდება.

გუშინ რესპუბლიკურ საკალთაკო კლუბში შედგა მეოთხე პარტია. **ᲑᲣᲡᲚᲐᲔᲕᲘᲡ** დებიუტიდან ერთგვარ წარმატებას მიაღწია, შემდეგ კი ორი პაიკი მოგება, მაგრამ პარტია არ დამთავრებულა. მართალია, **ᲑᲣᲡᲚᲐᲔᲕᲘᲡ** მატერიალური უპირატესობა აქვს, მაგრამ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მისი გამოყენება ძნელი იქნება და მოსალოდნელია ყაიმი.

ოთხი პარტიის შემდეგ მოწინააღმდეგეებს ქულანახევარ-ქულანახევარი და ერთი გადადებული პარტია აქვთ. დღეს მოიწყობა ამ პარტიის დამთავრება.

ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ—ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔᲒ

**ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡᲐ